№ 111 თიბათვე 1, ხუთშაბათი 1889 თიბათვე 1, ხუთშაბათი № 111

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 2 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჟურილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ხუთშაბათიდგან, 1 ივნისს,

ტრამვაიში ყოველ დღე გაიმართავს ახალ-ახალ საუკეთესო წარმოდგენას ჩვენ მიერ ახლად მოწვეული

## იანოვლის სახლობა

ძმათა უმლოუფის მონაწილეობით.

ტრამვაიში შესვლა უფასოა. წარმოდგენის დღეს როტონდაში შესვლა ჰღირს 10 კაპ., ხოლო დღესასწაულ დღეს 20 კაპ.

ვთხოვთ შემომსვლელთ, რომ ფულის ხურდვით არ გაგვიძნელონ საქმე და მანეთზედ მეტი აღარ მისცენ მოსამსახურეს დასახურდავებლად. (2—2)

---

ტფილისი, 31 მაისი

დიდი ხანია რუსეთის მთავრობა სცდილობს მთელს იმპერიაში, რომელიც შეიცავს მრავალ სხვა-და-სხვა ტომისა, სარწმუნოებისა და კულტურის ერს, გაავრცელოს და დაამკვიდროს რუსული ენა, ვითარცა ადმინისტრაციასა, სასამართლოსა და სკოლებში სახმარებელი. ეს განზრახვა მეტად რთული და ძნელია, რადგანაც მთავრობას ერთსა და იმავე დროს საქმე აქვს სხვა-და-სხვა ტომთან და ამიტომ თავისის წადილის შესასრულებლად ჰხმარობს სულ სხვა-და-სხვა ღონეს, დროებისა და ვითარების შესაფერს. ზოგს ადგილას მთავრობას ძალიან ეადვილება თავისის განზრახვის შესრულება, სხვაგან-კი დიდი შრომა და გამჭრიახობა ეჭირვება. განსაკუთრებით დასავლეთს გუბერნიებში ეძნელება რუსულის ენის დამკვიდრება, რადგანაც აქ რუსულის ენის გვერდით ჰბატონობს პოლონური, რომელიც ძლიერის კულტურის წარმომადგენელია და რომელსაც მდიდარი მწერლობაცა აქვს. თუ რამდენად ძნელი ყოფილა იმ გუბერნიებში რუსულის გავრცელება და დამკვიდრება, ამას საკმაოდ ნათლად მოგვითხრობს ერთის რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი.

კოვნოსა, ვილნოსა და სუვალკის გუბერნიების უფროს-ერთს ნაწილში ბინადრობს ჟმუდის ერი, სარწმუნოებით კათოლიკე, რომელსაც არც ძლიერი კულტურა აქვს და არც ძლიერი მწერლობა. ძველს დროს ეს ერი პოლონეთის ქვეშევრდომი იყო და მას შემდეგ, რაც პოლონეთის სამეფო გაუქმებულ იქმნა, რუსეთმა შემოიერთა. რასაკვირველია, რუსეთმა ჟმუდეთშიაც შემოიღო რუსული ენა და დაამკვიდრა იგი ადმინისტრაციასა, სასამართლოსა და სკოლებშიაც. ჟმუდელებიც კარგად ჰგრძნობდნენ, რომ რუსული ენა მათთვის სავალდებულოც არის და საჭიროც, რადგანაც მათს სამშობლო ენას გასავალი არსად არა ჰქონდა — არც სკოლაში, არც ადმინისტრაციასა და სასამართლოში და არც ვაჭრობაში. ჟმუდის ენა იმდენად სუსტი და უკან-ჩამორჩენილია, რომ რუსულსა და პოლონურს კამათობას ვერ გაუწევს, და რაკი საჴელმწიფოში პირველობა და ბატონობა რუსულმა დაიმკვიდრა, ამიტომ ჟმუდის ენას ადგილი ამ ენისათვის უნდა დაეთმო. იმ კორრესპონდენტის სიტყვით, ამ ათიოდე წლის წინად ჟმუდელები პოლონურს ენას არა სწავლობდნენო, ლეხს იდგამდა თვით ჟმუდის ენა და რადგან რუსული შემოღებული იყო სკოლებში, ადმინისტრაციასა და სასამართლოში, ამიტომ მოსალოდნელი იყო რუსულის ენისა და გავლენის გაძლიერება და გავრცელება. მაგრამ ეს იმედი ტყუილი გამოდგაო, ამბობს კორრესპონდენტი. დღეს ჟმუდელი სცდილობს პოლონური შეისწავლოს და პოლონურის ცოდნით თავი მოაქვსო. ამ სახით ჟმუდის ენა თანდათან ადგილს უთმობს პოლონურს და თუ საქმე ამ რიგად წავიდა, მოსალოდნელია პოლონურის კულტურისა და ენის გაბატონება ჟმუდეთშიო. ამ ქვეყანაში პოლონურის გაძლიერებისა და გავრცელების მიზეზი, კორრესპონდენტის სიტყვით, კათოლიკე სამღვდელოებაა, რომელიც ყოველს ღონეს ჰხმარობს პოლონურის ენის დასამკვიდრებლად. კორრესპონდენტს თუ დავუჯერეთ, სამღვდელოებამ რუსული სკოლებიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა. სკოლებში ყმაწვილი ჟმუდები გულ-მოდგინედ და ხალისით სწავლობენ რუსულსა და რადგანაც რუსული ენა ახლო ნათესავია პოლონურისა, სამღვდელოებას რუსულის შემწეობით გაუადვილდა პოლონურის გავრცელება და დამკვიდრებაო. რაკი ყმაწვილი სკოლაში რუსულს ისწავლის, მერე პოლონურსაც ადვილად სწავლობს. ამ სახით, ამბობს კორრესპონდენტი, რუსული სკოლისა და სასამართლოს ოთხს კედელს ვერ გასცილებია, ცხოვრებაში ფეხი ვერ შეუდგამს და პოლონური-კი ამასობაში ფეხს იკიდებს და ვრცელდებაო.

რასაკვირველია, რუსულის განდევნა ჟმუდეთიდგან და იმის მაგიერ პოლონურის დამკვიდრება არც სასიამოვნოა რუსეთის მთავრობისათვის და არც სანატრელი, რადგანაც რუსული სახელმწიფო ენაა და ამიტომ იმისი გავრცელება სავალდებულო და საჭიროც არის. ამიტომაც რუსეთის მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს პოლონურის ამოსაკვეთად ჟმუდეთში და რუსულის დასამკვიდრებლად. ამის ზრუნვას რუსეთი ეხლავე შეუდგება, ეხლავე შეეჭიდება პოლონურის გავლენას, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. პოლონური ენა და კულტურა იმდენად ძლიერი და განვითარებულია, რომ, რაკი ჟმუდეთს მოედება და ფეხს მოიკიდებს, იმისი ამოკვეთა, თუ ყოვლად შეუძლებელი არა, მეტად ძნელი და მოუხერხებელი იქნება.

ჯერ ძნელი გამოსაცნობია, თუ რა საშუალებას ეღმოაჩენს რუსეთის მთავრობა რუსულის ენისა და კულტურის დასამკვიდრებლად ჟმუდეთში, ხოლო ის-კი აშკარაა, რომ მთავრობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ გარემოებას. ამ გზობით აღვნიშნოთ ის საშუალება, რომლითაც, იმ გაზეთის აზრით, შესაძლოა პოლონურის განდევნა ჟმუდეთიდგან და რუსულის დამკვიდრება. გაზეთის აზრით, ჟმუდის ენა, ადრე თუ გვიან, უსათუოდ უნდა გადაშენდეს და ამოვარდეს. ჯერ-ჯერობით უმჯობესი იქნებაო, ამბობს გაზეთი: ხელი შევუწყოთ ამ ენას, იმის მწერლობას, შევაყვაროთ იგი ერს და ეგ ენა გავხადოთ ხიდად რუსეთსა და ჟმუდეთს შუა. ამ საშუალებით ჟმუდეთში გზას შევუკრავთ პოლონურს გავლენასაო და რაკი ამ უკანასკნელს განვდევნით, უსათუოდ რუსული დამკვიდრდებაო, რადგანაც ჟმუდის ენა ისეთის ბუნებისა და თვისებისაა, რომ უსათუოდ უნდა გადაშენდეს და ამოვარდესო.

თუ რამდენად სცდილობს რუსეთის მთავრობა სახელმწიფო ენის დამკვიდრებას, ამას შემდეგი ამბავი გვიჩვენებს: პოლონეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთს გუბერნიებში რკინის გზაზე მოსამსახურენი სამსახურის დროს რუსულის ენის მაგიერ პოლონურსა და გერმანულს ჰხმარობენ, მიუხედავად იმისა, რომ 1883 წ. მთავრობამ დაავალა იმათ რუსულის ხმარება. ეხლა გზათა სამინისტრომ ბრძანება გასცა, რომ რკინის გზის ბილეთები და განცხადებანი უსათუოდ რუსულად უნდა იბეჭდებოდეს და რომ მოსამსახურენი მოვალენი არიან გამვლელ-გამომვლელს საზოგადოებას რუსულად ელაპარაკონ და არა პოლონურად და გერმანულადაო. ვინც რკინის გზაზე მსახურობს და რუსულს წერა-კითხვასა და ლაპარაკს არ ისწავლის, სამსახურიდგან დათხოვნილი იქნება ექვსის თვის განმავლობაშიო.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი გრენი, ინსპექტორი საერო სკოლებისა ტფილისის გუბერ-

---

# ფელეტონი

### იალბუზის გარშემო

(შემდეგი*)

განვაგრძოთ ისევ მოგზაურობა. რაც დერეზე ფეხი შევსდგით, მას აქეთ, აქა-იქ, თორემ სულ ქვეითად ვიარეთ. ცხენით სიარული არ მოხერხდა. ქვეითობის უჩვეველი კომისიის წევრები ძლიერ დაიღალნენ. ცოტა რაზემე ანჩხლდებოდნენ, და თითოეული მათგანი ვისმე წაეკიდებოდა, თითქო ამითი უნდოდათ სავალი გზა გაეადვილებინათ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ცუდი გზა ისევ ცუდ გზად დარჩა, და ჩვენს ვაჟბატონებს მწვერვალზე ასვლა არ ასცილდათ.

თერთმეტის საათის ნახევარზე ულელტეხილზე ვიყავით. ულელტეხილი უნაგირსა ჰგავს. მისი სიმაღლე 12,000 ფუტია, იმის მწვერვალს-კი 16,500 ფუტი*) სიმაღლე აქვს. სვანეთიდგან ჩრდილოეთ კავკასიაში ექვს ადგილას გადადის გზა. ყველა ულელტეხილს ესა სჯობია, რომელზედაც ეხლა ჩვენ ავედით. ვისაც სხვები არ უნახავს, იმისთვის, ცხადია, ეს ულელტეხილიც საშინელებაა. ასე ეჩვენათ ჩემს ამხანაგებსაც. ულელტეხილზე კალოს ოდენა ვაკეა, თოვლით დაფარული. აქ შევისვენეთ. ჩანდულებში ახალი თომი ჩავიტენეთ, რომ დაღმართში ფეხები არ დაგვბექოდა. დავყავით კარგა ხანი. ჩვენი მებარგულნი უკან მოდიოდნენ, გვინდოდა იმათთვის მოგვეცადა, მაგრამ რაკი არსად გამოჩნდნენ, ისევ გზას გადგომა ვარჩიეთ. ყველამ ვიცოდით, რომ დაღმართში ისე არ დავიღლებოდით, როგორც აღმართში, და ამიტომ ცოტა კარგს გუნებაზე დავდექით. მაგრამ ეს იმედი ყველასათვის არ გამართლდა. ნამეტურ შეგვიწუხა დაღმართმა პატივცემული თ. ჯ—ძე. მისდა საუბედუროდ, იგი გვარიანი მსხვილის ტანის პატრონი გახლდათ და სიმსხო ტანისა საგრძნობლად აწვებოდა მის ფეხებს. მწვერვალზევე ჯ—ძეს თენგიზმა ორი სვანი მიუჩინა, რომელნიც სიარულის დროს მხრებში უნდა ამოსდგომოდნენ და ამ ნაირად შეძლებისა გვარად ეხმარებოდნენ მოხუცს მგზავრს.

იალბუზი სამჴრეთით გვედვა ახლო, ხოლო ვერ ვხედავდით, რადგანაც ჩვენსა და მას შუა ქედი იყო განზიდული. მწვერვალიდამ გვარიანს მანძილზე ერთობ დაქანებული დაღმართი შეგხვდა. ჯ. ეგონა აქ ნაბადზე დააბრძანებდნენ და ისე ჩაასრიალებდნენ სვანები, მაგრამ მისდა საუბედუროდ მოლოდინი არ აუსრულდა. დერეს ზედა-კანი ისეთი უსწორ-მასწორო და მაგარი იყო, რომ, არა თუ ნაბადი, სქელი ბუმბულიც ვერ დაიფარავდა ადამიანს დაბექვისაგან. ამ ნაირად თოვლზე ნაბდით სრიალი, რომელიც სტრაბონსაც არ გამოჰპარვია შეუმჩნევლად და რომელიც დღემდე ხმარებაშია სვანეთში, არ მოხერხდა. ჯ. დარწმუნდა, რომ თავისმა ფეხებმა უნდა ატაროს თავისივე ტანი, და გულ-ნაღვლიანი შეუდგა გზას. ნუღარ ვიკითხავთ იმას, თუ რამდენი წყევლა-კრულვა მოახვია თავზე სვანებსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებს, რომ იგინი „სადღაც ჯანდაბაში დასახლებულან თავიანთ თავის საუბედუროდ და სხვის შესაწუხებლად“. ჯ. გარდა ერთი ამხანაგიც ძლიერ დაგველალა, როგორც ახალგაზრდას, მას სურდა ყოჩაღობა გამოეჩინა და ზოგიერთებს არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ვერ შესძლო. დაოფლიანებული წამ-და-უწუმ ეწაფებოდა თოვლის წყალს, რომელმაც ცუდად იმოქმედა დაღალულს მგზავრზე. როდესაც ნახევარი დერე გავიარეთ და მივაღწიეთ „ტობარს“, აქ დავისვენეთ და სადილი მოვითხოვეთ. დაქანცულები დავეყარეთ დერეზე. ყველანი, სვანებს გარდა, ვგრძნობდით მუხლებისა და კუნთების ტკივილს. საბარგო ჯორი უკან იყო ჩამორჩენილი; სანამ ჩვენამდე მოაღწია, ორმა საათმა გაიარა. ამასობაში დაღალულს წევრს კიდეც გააცივა. ჩვენი ნაბდები ზოგი ქვეშ დავუგეთ, ზოგი ზევიდამ დავახურეთ, მაგრამ მაინც ვერ გავათბეთ ჩვენი ავადმყოფი, რომელმაც კარგს ხანს აცემინა კბილი კბილს. ამასობაში საბარგო ჯორიც მოვიდა. საჩქაროზე ბარგი ჩამოხსნეს, ამოიღეს ხურჯინებიდამ ხორაგეულობა, გაშალეს სუფრა თოვლზე და რამდენსამე წამს შემდეგ მადიანად შევექცეოდით სადილს.

მთის ძირამდე კარგი მანძილი გვედგა, და ამისათვის, ზოგს უკანასკნელის ლუკმის გადაყლაპვა ჯერ კიდევ ვერ მოესწრო, რომ ჩვენ გზას გავუდექით. ვიჩქაროდით კიდევ იმიტომ, რომ ცა მოიღრუბლა და გვინდოდა მთის ძირამდე ჩაგვესწრო წვიმისათვის, მაგრამ წვიმამ ჩვენს განზრახვას აღარ ათხოვა ყური და, სანამ ძირს ჩამოვიდოდით, ქათმებივით გაგვწუწა. ტაბარიდამ აქა-იქ თოვლზედაც შესაძლებელი შეიქნა ცხენით სიარული. როდესაც მთის ძირს მივუახლოვდით, იქ დერე მივატოვეთ და ქედის მარცხენა ფერდზე გავედით. ეს ქედი კედელსავით ამართული იყო ჩვენსა და იალბუზს შუა. ამ ქედის წყალობით ამ ჟამად უნახავი დაგვრჩა ორი დერე იალბუზისა „აზაუ“ და „თერეფოლ“-ი. ვიარეთ, ვიარეთ და ბახსნელების საჯოგეებში ჩავედით, გავიარეთ მშვენიერი ფიჭვნარი და, როგორც იყო, მივაწიეთ მთის ძირში, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. წვიმდა. უცებ შევუდექით ხის კარვების კეთებას, რომელიც ნეშოთი დავხურეთ. ჩვენის ბინის ახლო მწყემსის „ყოში“ იყო. „ყოში“ მწყემსის კარავია. თუ მწყემსი შეძლებულია, ყოში ქვა-ნაბდისაგან აქვს გაკეთებული, ე. ი. კედლებიცა და სახურავიც სულ ნაბადია; თუ ღარიბია, ხისა და ბალახისაგან იკეთებს ყოშს. მწყემსმა ხშირად უნდა გამოუცვალოს საძოვარი ჯოგს. მაშინ ნაბდის ყოშს დაშლის, აჰკიდებს ვირს ან ცხენს, მიაქვს ახალს საძოვარზე და ისევ გაშლის. თენგიზმა უთხრა ორ სვანს, მწყემსთან

---

*) იხ. „ივერია“ №№ 100, 101, 102, 104, 107 და 110.

*) ივანიუკოვი და კოვალევსკი.

ნიაში, ამ დღეებში დაბრუნდა კახეთიდამ, სადაც დირექციის სკოლების სარევიზიოდ იყო წასული. გრენს კახეთში უპოვნია რამდენიმე ძვირფასი ქართული ხელ-ნაწერი. სხვათა შორის გუსტან-ნამე, ქართულად ნათარგმნი, ის გუსტან-ნამე, რომლიდამაც ამოუკრეფია ამბები სპარსეთის პოეტს ფირდუსის თავის შაჰ-ნამესათვის. გრენის სიტყვით, ეს ხელ-ნაწერი ფრიად საყურადღებო ხელ-ნაწერია. გრენს უპოვია აგრეთვე ახალი ხელ-ნაწერი „ამირან-დარეჯანიანისა“, „სირინოზიანი“ და ორი რომანი, რომლის შინაარსი ჯერ არ გაურკვევია. ბ-ნს გრენსვე შეუკრებია ორასამდე სახალხო ზღაპარი სოფლის მასწავლებლების შემწეობით.

*** როგორც შევიტყეთ, ჩვენს პატივცემულს დრამატურგს ბ-ნ გაბ. ნიკიტის ძეს სუნდუკიანცს დაუწერია ახალი კომედია ოთხს მოქმედებად. ამ კომედიას სახელად ეწოდება „ცოლ-ქმარნი“. კომედიაში გამოყვანილია თურმე რამდენისამე წოდების ცოლ-ქმარნი, რომელნიც ხალხში თვალთ-მაქცობენ, ერთმანეთის ალერსში არიან და მარტოთ-კი ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებათ. ვისაც წაუკითხავს ეს ახალი კომედია სუნდუკიანცისა, ამბობს, რომ ამ მწერალს ჯერ ამისთანა არა დაუწერია-რაო. ეს პიესა ბ-ნს სუნდუკიანცს უკვე წარუდგენია საცენზურო კომიტეტში დასაცენზურებლად.

*** მეფაბრიკემ ივანე ალექსის ძემ ჩითახოვმა, კნ. ეფემია ალექსანდრეს ასულმა ვაჩნაძისამ, ფოტოგრაფმა ალექსანდრე როინაშვილმა და თ. ნიკოლოოზ დავითის ძემ ანდრონიკაშვილმა გამოუცხადეს სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლას თავისი თანაგრძნობა და შესწირეს ჩითახოვმა ორასი არშინი ამერიკა, კნ. ვაჩნაძისამ—25 მან., როინაშვილმა—50 მან. და ანდრონიკაშვილმა—25 მან.

ამ შემწეობისათვის სკოლის კრება შემომწირველთ გულითადს მადლობას განუცხადებს.

*** სოფ. ჰაკურცახე (სიღნაღის მაზრა): ამ ჟამად აქ იმყოფება მიწის მზომელი, ანუ, როგორც აქ ეძახიან, კომისია და ათ მაისიდგან ჰმიჯნავს მამულებს. ეს გარემოება სასიხარულოა, რომ ცოტაოდნავ საწყენიც არ იყოს. საქმე იმაშია, რომ სოფელს არა ჰყავს ამორჩეული კაცები კომისიაში და ამის გამო არის ერთი არევ-დარევა და ვინც ვის მამულს მოასწრებს, ის იმიჯნავს თავისთვის.

ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ მოწამე გლეხების გმინვისა და ცრემლისა, მაგრამ ბ-ნი მიწის-მზომელი ა—კი ყველას და ყოველთვის ამას ეუბნება: ეხლა ალარაფერი აღარ შეიძლება მოხერხდეს. თუ თქვენი მამული იყო, როცა ვმიჯნავდი, იქ უნდა ყოფილიყავით. მართალიც არის: მიწის-მზომელი რა შუაშია, თუ სოფელი უთაურია?

*** ქიზიყი: ჩვენის მაზრის გლეხობას ძლივს-ძლიობით ელირსა დაბრუნება ბეგრიდგან. მთელი თთვეა, თუ არა მეტი, რაც კალიის საქლეტად იყვნენ წასულნი ელდარს. არ იყო ისეთი პატარა სოფელი, რომ 100—200 კაცამდის არ გასულიყო. თუმცა მაზრას ამოდენა მუშა ხელი მოაკლდა, მაგრამ სამაგიეროდ დედაკაცობა არ ერიდებოდა არავითარს შრომას და რაც მამაკაცს დარჩა დასამუშავებელი, ის დედაკაცებმა დაამთავრეს.

დღეს, ღვთის მადლით, ჭირნახული მშვენიერია და ვაზსაც შესანიშნავად ასხია. სოფ. ასანურში მე თითონ დავთვალე ერთს პატარა ვაზზედ 140 მტევანი. ყველა ვაზს, რასაკვირველია, ასე არ ასხია, მაგრამ თელავის მაზრაში რომ გაკორტნილი ვაზები ვნახე, იმის შედარებით, ასე მგონია, ღმერთს წელს მარტოკა სიღნაღის მაზრაში და განსაკუთრებით ქიზიყში დაუბერტყია თავისი უხვი კალთა.

*** თელავი: ამას წინად „ივერიის“ ახალ ამბებში დაბეჭდილი იყო, რომ თელავის დეპოში ახალის სისტემის ანგარიში შემოუღიათ, რომლის უებრობას აღარა შეედრება რაო.

ჩვენ-კი ვიტყვით: მართალია, ისეთი წესია შემოღებული, რომ თვით ეშმაკიც-კი ფეხებს მოიმტვრევს ამ ანგარიშში და თვით დიოგენის ფარნითაც ვერას გაიგებს ადამიანი!!.

ერთ თთვეზე მეტია, რაც დეპოს საანგარიშებელი კომისია არის ამორჩეული და აქამდის ვერა გაიგეს-რა ამ მშვენიერის „სისტემის“ ანგარიშში. „სისტემას“ გარდა ანგარიშის დაგვიანება კომისიის მეტის-მეტის სიბეჯითისა და ხშირის მუშაობის ბრალიც-კი არის, ღვთის წინაშე.

ნეტავ ვიცოდეთ, რას უყურებენ ეს დალოცვილები: დეპოს მოვალეები ფულს თხოულობენ 2,000 მანეთამდე, რომლის ვადაც თიბათვის პირველს რიცხვებში გადის, და თქვენი მტერი, თუ ასე შეუფერებელ სიზანტით მოიქცა კომისია, რაც საქმე დეპოს დაემართოს! შეიძლება მოვალემ, თუ დროზე ფული ვერ ჩააბარეს, საქონელი გაუყიდოს ჩაქუჩ ქვეშ დეპოს და აქაური მოვაჭრეების დიდის ხნის სურვილი აღსრულდეს დეპოს შესახებ...

*** გაზეთ „მეურნე-ს“ უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ: სამეურნეო გამოფენის მე-XI განყოფილების გამგებლისა და ხელმძღვანელის ანგარიშიდამ სჩანს, რომ აქნობამდის მხოლოდ 68 სკოლიდგან მიუღიათ დაწვრილებითი ცნობა გამოფენაზე წარმოსადგენ ნივთების შესახებ. ამ ნივთთა შორის დასახელებულია ნამუშავარი: დურგლისა, კალატოზისა, ხუროსი, მკაზმავისა; ნაქსოვ-ნაკეთები: აბრეშუმეულისა, ბამბეულისა; ნაყოფი: თაფლეულისა, ბოსტნეულისა და ნიმუში ხატვისა და ხელ საქმისა.

მევინეობის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიშიდგან სჩანს, რომ მრავალ მემამულეთათვის წარუგზავნიათ გამოფენაზე მოსაწვევი წერილები. ხელმძღვანელის ანგარიშში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ წარსულის სამის წლის ულვინობა დიდად შეამცირებს გამოფენაზე დამსწრეთა მსურველთაო და ღვინოს ნიმუშებსაცაო.

გამოფენის გამგე კომიტეტმა ოსურის ყველის კეთებაში გამოცდილს ბ-ნ სოკოლოვსკის სთხოვა, რომ გამოფენაზე გეიჩვენეთ წესი ოსურ ყველის კეთებისაო და მოგვწერეთ რა ეღირება აღსრულება ამ ჩვენის სურვილისაო.

სოკოლოვსკიმ მოიწერა, რომ მე პირად ვერ ვიკისრებ გამგე კომიტეტის სურვილის შესრულებასაო. ადგილად-კი შეიძლება ადგილობრივ ყველის მკეთებელთა შორის მონახოთ ისეთი კაცი, რომელიც გამგე კომიტეტის სურვილს შეასრულებსო. ამისთვის საჭიროა, ჩამოიყვანოს ქალაქში რამდენიმე მწველელი ძროხა, ჩამოიტანოს ყოველ გვარი ჭურჭელი, რომელიც იხმარება ყველის გაკეთების დროს, და გამოფენის დროს საზოგადოებას გააცნოს წესი ყველის კეთებისაო. ამ გვარს კაცს კომიტეტი ადვილად მოჰნახავს, თუ სასყიდელს გაიმეტებსო.

იმავე წერილში იგივე სოკოლოვსკი იწერება, რომ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრს სურს წარმოგზავნოს თავისი ნაწარმოები: შალი, მატყლი, ყველი და სხვ. მხოლოდ იმ პირობითკი, რომ მათი ნაწარმოები ვინმემ ჩაიბაროს კობში და წამოიღოს ტფილისსაო.

ბ-ნს კუჩენბახს ჰსურსო, ამბობენ: გამოფენის დროისთვის ჩამოიყვანოს ქალაქს რამდენიმე მეწველი ძროხა და დაანახვოს ხალხს მათი ღირსება.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ, მარტის 22-ს, გადასწყვიტა ქუთაისის საქალაქო ბაღში (ფერმაში) სამეურნეო დასაწყისი სკოლა დაარსოს. ეხლა, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ამ საგნისათვის, ე. ი. სამეურნეო სკოლის დასაარსებლად, ქუთაისის სათავადაზნაურო-მამულო ბანკს დაუნიშნავს ცხრა ათასი მანეთი და, აგრეთვე, ამავე სკოლას დაუნიშნა ყოველ წლივ სამი ათასი მანეთი.

ამავე ბანკმა თავის წმინდა მოგებიდგან დაუნიშნა სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას 200 მან.

სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასაც ამავე ბანკმა დაუნიშნა 300 მან., რომ მომავალ გამოფენაში მონაწილეობის მიღება გაუადვილოს.

◆◆

## დაბა დ სოფელი.

(მოწერილი ამბები)

თელავი, 28 მა ს.ს. თითქმის მთელი თთვეა, რაც განუწყვეტლად სწვიმს. ნიაღვრებმა და გაონავრებულმა წყლებმა დიდი ზარალი მისცა კახეთს: დახრამა და გააფუჭა გზები, წალეკა ბევრგან ყანები, ზოგან ვენახებიცა და დაარჩო რამდენიმე კაცი.

თელავის ადმინისტრაციამ შეამაგრა დურუჯი (ყვარელის წყალი), მაგრამ ამ დროს სტორმა (ფშაველის წყალი) თავისი ჩაიდინა! და რა ეს მდინარეები, თითქმის პაწაწკინტელა სხვებმაც-კი საგრძნობელი ზარალი მოუტანა ხალხს.

უმეტეს ადგილას გამუდმებულის წვიმის გამო ჩაწვა აღოყებული ჯეჯილი და თუ კიდევ გაგრძელდა ავდარი, უეჭველად ამოალპობს ჭირნახულს.

სიმინდიც ტევრად არის წასული და უამინდობის გამო გასამარგლ-გასათოხნად ვერ შედის მუშა. ეს ერთი კვირაა, რაც ისე ცივა, რომ სადგურებს გათბობა დაუწყეს და უთბილტანისამოსოდაც კაცი გარეთ ველარ გამოდის. ამ ცუდმა ჰავამ და სიცივეებმა ბევრგან დასძრა ვაზი და ხელის შეხების დროს პაწია მტევნებიდგან ფეტვივით ცვივა მარცვალი.

თქვენი მტერი, როგორც საერთოდ კახელებისა და განსაკუთრებით თელავის მაზრის საქმე იქმნას, თუ ჭირნახულსაც ეზარალა რამ. სიღნაღის მაზრაში ბევრით უკეთესია, როგორც ჭირნახული, ისე ვაზიც, შედარებით ვაზს მშვენიერად ასხია და ყლორტიც მოსაწონი აქვს, თუ ამ გამუდმებულმა წვიმა-სიცივეებმა არ აზარალა.

**

გუშინ, 27 მაისს, საღამოს 5 საათზე, მობრძანდა თელავში მთავარმართებელი კავკასიისა მისი ბრწყინვალება თ. დონდუკოვ-კორსაკოვი;

---

წასულიყვნენ და იმის მაგიერ ორი საკლავი ეთხოვათ. რაკი ყოში არაოდეს არ მენახა, მეც წავედი ამ ორ სვანთან ერთად. მივედით. მწყემსი ყოშში იყო. ყოშში შევხედე ორ სპილენძის ქვაბს, ოთხ გუდას და კედელზე ჩამოკიდებულს მწყემსის თოფს. ერთ ქვაბში მაწონი ედგა და მეორეში—რძე. ოთხი გუდა „აირანით“ **) იყო სავსე. რამდენიმე თავი ყველი და ცხვრის ტყავები ყოშის ყურეებში ეყარა. ყოშის კართან ცეცხლი ენთო; იქვე ეგდო ორი ნამგლევი ცხვარი, ჯერ კიდევ გაუტყავებელი. წლითი-წლობამდე მწყემსი იკვებება ხორცით, რძით და წველით. წელიწადი გავა, რომ სამჯერ ვერა ჭამოს პური და, თუ ჭამა, ისიც მაშინ, თუ ვინმე მგზავრი მოხვდა. მაგიერად მწყემსი უთავაზებს ხოლმე მგზავრს ხორცს, ყველს, მაწონს... ერთმა სვანმა გადასცა მწყემს ჩვენი მონდომილება. იგი მაშინვე გამოვიდა ყოშიდამ, შეგვიყვანა ქარბაკში, სადაც ცხვრის ჯოგი ედგა, ამოგვირჩია ორი, მოგვცა და თითონაც წამოგვყვა. წამოსვლისას მწყემსმა სვანებს რამდენიმე სროლა წამალი სთხოვა და მე—მარილი და თუთუნი. თუთუნი და წამალი იქვე მივეცით და მარილს-კი ბინაზე დავპირდი, თუმცა ჩვენც ხელ-მოჭირებით ვექცეოდით ამ საჭირო სალევლს. მოვედით ბინაზე. მწყემსმა შესაფერი სალამი მისცა თენგიზს. უთხრა, რომ თუ ინებებთ, საკლავად ერთ მოზვერს კიდევ მოგართმევთ, თორემ შეიძლება, ჩემი ბატონი თქვენგან დიდად დავალებულია, გამიჯავრდეს, რომ საკლავად ცხვრები გამოგიყვანეთო. თენგიზმა მადლობა უთხრა პატივისცემისათვის და დაუმატა, რომ ამაღამ ორის ცხვრის მეტი არ არის საჭიროო. მხლებელ სვანებს გარდა ყველანი დაღლილობას ვგრძნობდით და ვახშმის გაკეთებას სანქაროდ შევუდექით. ვახშმად ნახევარი ჩვენთაგანი არ ამდგარა. ვინც ზეზე ვიყავით, იმათაც უგემურად ჩაგვიარა. მიზეზი დაღლილობა იყო. მეორე დილას ადრე ავდექით. თ. ჯ—ძის კარავიდამ ერთი წყევლა-კრულვა ისმოდა, სწყევლიდა გზას, რომელმაც ამდენი გაჭირება გამოატარა ამ სიბერის დროს. არც სხვები ვიყავით უკეთესს გუნებაზე. ყველას გვტკიოდა ფეხები, მუხლები და კუნთები.

მალე გამოვედით ჩვენის ბინიდგან. ცოტა რომ გავსცილდით ბინას, მოდიდო მინდორში გავედით. ამ ადგილიდამ ძირიდამ თავამდე სჩანს აღმოსავლეთის ნაწილი იალბუზისა თავის დეჟეებით. რამდენსამე წამს ვუცქირეთ ამ კავკასიის ბუმბერაზ მთას. ამ ადგილს, სადაც ეხლა ჩვენ ვიდექით, „ქოლარ“-ს ეძახიან. აქ ძველად ერთი შემთხვევა მომხდარა სვანებსა და ყაბარდოელებს შუა. იმ დროს, როდესაც სადადიშქელიანო სვანეთს ბაბა-ციოყი ჰბატონობდა, სვანეთი და ყაბარდო (სვანეთის ქაშაგ-ი) აშლილი ყოფილა ერთმანეთში. მაშინ ის ადგილი, სადაც დღეს ბახსონის ან ურუსბეის საზოგადოება გაშენებულა, დაუსახლებელი ყოფილა და ყაბარდოელებს საძოვარ ადგილებად ჰქონიათ. სვანები ამ ადგილებს თავისს საკუთრებად სთვლიდნენ, და ყაბარდოს ყოველს წელს ბეგარა უნდა ეძლია. ყაბარდომ რამდენსამე წელს ბეგარა არ მისცა სვანებს. მაშინ სვანებმა ძალა იხმარეს და რამდენჯერმე წაართვეს ჯოგები ყაბარდოელებს. ეს მტრობა გაგრძელდა თურმე რამდენსამე წელს. ბოლოს, რაკი ყაბარდო საბალახო ადგილს ვერ რჩებოდა, მოციქულები გაგზავნა სვანეთს და შერიგება სთხოვა. თავშესაყარ ადგილებად სვანებისა და ყაბარდოელებისა დანიშნეს ეს ქოლარი. ყაბარდოს მაშინდელი ბატონი ყოფილა ვინმე ხადაჯუყვი, რომლის შთამომავლობა დღესაც თავადიშვილები არიან თავის ქვეყანაში. ხადაჯუყვს თან ეახლა ასამდე არჩეული ყაბარდოელი. სვანების მხრით ბაბაციოყს წაეყვანა აძღენივე რჩეული სვანი. შუამავალი სვანებსა და ყაბარდოელებს შუა ბიზინგელი თავადი ურუსბეი ყოფილა, რომლის შთამომავალი ბოლოს ბახსნის ხეობაში გადმოსახლდა. ამ ურუსბეის სურდა თურმე, რომ სვანებსა და ყაბარდოელებს აქ ჩხუბი მოსვლოდათ, ერთმანეთი გაეწყვიტათ და თითონ დაჰპატრონებოდა საცილობელს ადგილს. ეს თავისი სურვილი კიდეც განეხორციელებინა: სვანებსა და ყაბარდოელებს აქ შეტაკება მოსვლოდათ. მოციქული ურუსბეი შერიგების მაგიერ მოწინაალმდეგეთ აქეზებდა თურმე. ბოლოს, როდესაც ვერ შეთანხმდნენ, სვანები და ყაბარდოელები ერთმანეთთან მივიდნენ პირდაპირ სალაპარაკოდ. ლაპარაკს მუქარა მოჰყვა. ამ დროს ერთმა ყაბარდოელმა ველარ მოითმინა, გაისროლა თოფი და მოარტყა სვანს. ცხადია, ორივე მხარე მაშინვე აირეოდა. სვანები ჩაესაფრნენ იქვე ახლო ბრეკს და დაუწყეს სროლა. მოჰკლეს რამდენიმე ყაბარდოელი. ხადაჯუყვს მოუკლეს თავისი საყვარელი ვეზირი—თავზაყი, და ერთმა ფარელმა სვანმა, სახელდობრ ჯაზდანმა, თვით ხადაჯუყვი დასჭრა ბარძაყში. რაკი ხადაჯუყვი დაიჭრა, მაშინვე უბრძანა თავის მხლებლებს უკან წასვლა. ამ ნაირად გათავდა აქ შეტაკება. სვანები უკან დაბრუნდნენ ერთის მოკლულის სვანით, და ყაბარდოელები თავის გზას გაუდგნენ. ხადაჯუყვმა თავისი ჭრილობა არ გაუმხილა სხვებს, სანამ საშვიდობო ადგილას არ მივიდნენ, რომ გული არ დასწყვეტოდათ მის მხლებლებს. ბოლოს-კი, როდესაც ჭრილობამ შეაწუხა, სთქვა თურმე: „სვანების ერთმა ძაღლმა მეც მიკბინაო“. ეს შეტაკება და ხადაჯუყვის დაჭრა სვანებს გამოხატული აქვსთ ერისთავის სიმღერაში, რომელსაც სახელად ჰქვია: „ხადაჯუყვ ისგვი ლაშგარი“. რამდენად ნამდვილია ეს ამბავი, ეს მიმინდვია მოხუც ვიჩი ცინდელნისათვის, რომელმაც მიამბო. ყაბარდოელები ალბათ თავის სასარგებლოდ მოუთხრობენ ამ შემთხვევას, მაგრამ ჩვენ იმათთან ამაზე ლაპარაკის შემთხვევა არა გვქონია. ეს იყო 8 აგვისტოს. აქედგან ჩვენი გზა მდ. ბახსანას ორთავე ნაპირებზე იდევა. ჯერ ვიარეთ მარჯვენა ნაპირებზე და მერე გადავედით მარცხენაზე.

თავ. სვანი

(შემდეგი იქნება)

**) აირანი დამწუთხებული რძეა, დოსა ჰგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ამალას გარდა, თან ახლდა ტფილისის გუბერნატორი თ. გ. შერვაშიძე. განკარგულებისამებრ თელავში მათ ბრწყინვალებას უცდიდა გენერალი კახანოვი, დრუჟინის (ბრიგადის) უფროსი გენერალი ტ... ინჟინერები და მთლად დრუჟინის კომისია.

შემდეგ სადილის მირთმევისა, მათს ბრწყინვალებას ჰქონდა თათბირი კომისიასთან თელავში დრუჟინის მოთავსებაზე და საბოლოოდ გადასწყვიტეს, რომ ამიერიდგან თელავში იყოს დრუჟინა.

28 მაისს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, მათმა ბრწყინვალებამ მიიღო თელავის მოხელენი და სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი.

7 საათზე გამობრძანდა გარეთ, სადაც გამწკრივებულნი მოქალაქენი ელოდნენ თავიანთის წარმომადგენილის დეპუტატებით. სალამს შემდეგ, მათმა ბრწყინვალებამ უბრძანა თელავის მოქალაქეთ:

— „თქვენ მთხოვდით შარშან და შარშან-წინ, რომ დრუჟინა თელავში დამეყენებინა, მაგრამ მე ყოველთვის უარს გიცხადებდით. უარის თქმის საბუთიცა მქონდა. საბუთი ის იყო, რომ ყვარელი მთავარი ასპარეზია და დრუჟინა იქ უფრო საჭირო იყო. რაც შეეხება თქვენს ვაჭრობას, ეს სულ ერთი იყო: დრუჟინა ყველაფერს თქვენგან ჰხარჯავდა და თქვენთვის დიდს განსხვავებას არ შეადგენდა, აქა მდგარიყო ბინად, თუ იქა.

„მაგრამ დღეს სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე: დრუჟინა ჩემის სურვილის წინააღმდეგ ძალა-უნებურად აქ, თელავში, უნდა გადმოვიდეს სამუდამოდ.

„საქმე იმაშია, რომ ყვარელში ის ალაგი, სადაც დრუჟინა იდგა, მთლად მოგლიჯა ადიდებულმა წყალმა და წაიღო. გადარჩა ნამკეკი ლა, რომელზედაც დრუჟინის მოთავსება შეუძლებელია. ეს ასე უთუოდ იმიტომ მოხდა, რომ თქვენ საერთოდ მრავალი ლოცვა აღგივლენიათ ღვთის წინაშე (მოქალაქენი მადლობას უხდიან). მოითმინეთ, მერე დამიმადლეთ. ალაგი მიქეს დრუჟინისათვის, რომ მაღლობი და კარგის ჰავისაო. აი ეხლა მეც ვნახავ და დავრწმუნდები იმის ავ-კარგიანობაში. ყაზარმების შენება შეიძლება წელსაც დავიწყოთ. თქვენში დატრიალდება იმის ასაშენებლად დიდ-ძალი ფული თქვენდა სასარგებლოდ, მაგრამ წინდაწინვე გიცხადებთ, რომ ულმერთო სარგებელი არაფერში აიღოთ, როგორც, მაგალითად, 40% და სხვა. მე იმას-კი არ ვამბობ, რომ მუქთად გააკეთოთ! არა, თქვენ უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება, ხელი შეუწყოთ ამ საქმეს და, ნარდი იქნება, თუ მასალა, ღირებულ ფასად გვიანგარიშოთ. აი მე ამას გეუბნებით და დაიხსომეთ ჩემი სიტყვები.

„თუ ისე არ მოიქცევით, როგორც გითხარით, მაშინ მეც სხვა ნაირად მოგექცევით... გამოვიწერ სპარსეთიდგან და სხვა კუთხეებიდგან მუშებს და იმას ჩავაბარებ საქმეს, ვინც პირიანად გააკეთებს. თქვენ შენობაში ნუ-კი ელდებით ბევრის აღებას. თქვენთვის ისიც საკმარისი იქნება, რომ დრუჟინა ყოველს წელს 150,000 მანეთს დაჰხარჯავს თქვენგან“.

— ვეცდებით, თქვენო ბრწყინვალებავ, ვეცდებითო! მიუგეს მოქალაქეთ.

შემდეგ წაბრძანდა თელავის „წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში“, სადაც დახვდნენ მასწავლებელნი და მოსწავლენი და აგრეთვე სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველნი.

მათის ბრწყინვალების მიბძანებისა და წამობძანების დროს მოსწავლე ქალებმა იგალობეს რუსულად.

იქიდგან მთავარ-მართებელმა შეუხვია თელავის საკრებულო ეკკლესიაში და მიბრძანდა უფროს თ. ნ. ჩოლოყაშვილის სადგურში, სადაც ბძანდებოდა ჩამომხტარი. ათის წამის შემდეგ ჩაბრძანდა ჩალაგებულს ეტლში და წაბრძანდა თელავის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ, სადაც დრუჟინა იყო დაბანაკებული. მათს ბრწყინვალებას უნდა გაესინჯა დრუჟინის საბანაკო ადგილები და აგრეთვე უნდა ენახა დრუჟინის ალლუმი. ეს წინდაწინვე იცოდა ქალაქმა და თუმცა დღე წვიმიანი იყო, მაგრამ მაინც აურაცხელი ხალხი დაესწრო ალლუმს და ბევრიც დასტკბა დრუჟინის სიმკვირცხლითა და სიჩაუქით. ალლუმს შემდეგ რამდენჯერმე მადლობა უბრძანა თავადმა დრუჟინას: „ძმებო, მუდამ სასიამოვნო და სასიყვარულოა თქვენის სიჩაუქისა და ლაზათიანობის ყურება! გმადლობთ და კიდევ გმადლობთ, ძმებო!“ შემდეგ საერთოდ აფიცრებს გადაუხადა გულწრფელი მადლობა ჯარის-კაცების ასე მშვენიერად წურთვნისათვის, გამოემშვიდობა ყველას და წაბრძანდა წინანდალს, სადაც ინებებდა საუზმეს. იქიდგან წაბრძანდება სიღნაღს და შემდეგ ზაქათალის მაზრისა და ნუხისაკენ.

ბევრი დარწმუნებულია, რომ სიღნაღის დრუჟინაც თელავში გადმოვაო, რადგანაც აქაურ ადგილ-მდებარეობას, სივრცეს, წყლის სიკეთეს და სიუხვეს და აგრეთვე ჰავას დიდს უპირატესობას აძლევენო. ეგებ მართალიც იყოს, მაგრამ გადაჭრითა და გადაწყვეტით თქმა ამაზე რისამე ჯერ-ჯერობით ძნელია, რადგანაც დაჭეშმარიტებით ჯერ არავინ იცის.

მეთვალყურე

---

**მთიულეთი,** 10 მაისს. რის ვაივაგლახითა და ტანჯვით ძლივს გაისტუმრა მთიულმა წიაღსა შინა აბრამისასა შერჩვენებული ზამთარი. ექვსი-შვიდის თვის სახლში დამალული მთიული დღეს ძლივს გამოვიდა გარეთ, ძლივს მოიშორა ტანიდგან თავისი ერთგული და განუშორებელი ამხანაგი დურა-ტყავი. აი ამ ერთს კვირაში ძლივს დაინახა მთიულმა მზე და იგრძნო სითბო. რას აკეთებდა მთიული შვიდის თვის განმავლობაში სახლშიო, შეიძლება იკითხოს ვინმე. რას აკეთებდა და არაფერს. მართლა რომ არაფერს: იჯდა, ხან იწვა პირქვე სახლში და ლექდა წეკოს. რომელი საქმე გაკეთდება იქ, სადაც ორ არშინ ნახევარი თოვლი სძევს ნახევარ წლის განმავლობაში. დადგება თუ არა გიორგობისთვე, მთიულეთში დაიწყება თოვლი და სულ თოვს და თოვს აპრილის გასვლამდე, თოვს განუწყვეტლივ ორი-სამი დღე და ღამე. მეტადრე წელს დიდი თოვლიანობა იყო მთიულეთში. საქენს აღარა აკლდა-რა, ზოგგან მეტიც იყო. მაგ., გუდაურში ოთხი არშინიც იყო. აბა რა უნდა გააკეთოს მთიულმა ამ დროს. რა გააკეთოს, რა იმუშაოს, ხელობა არავითარი არ იცის; თუნდ იცოდეს, მთიული ცოტა წელ-მოწყვეტილია, ცოტა ეზარება მუშაობა, მეტადრე თუ სამუშაო ხანგრძლივია. მათ შორის არიან იმისთანებიც, რომელნიც სამხედრო გზაზე თავიურად ანუ დღიურად მუშაობენ მთელ ზამთრის განმავლობაში. ესენი არიან უფრო უცოლო ბიჭები, რომელნიც ფულს აგროვებენ მომავალის საბედოსთვის. მხოლოდ ესენი, თორემ ცოლ-შვილიანი, შუა-ხნის კაცი მთიული თავის დღეში სამუშაოდ კარში არ გამოვა, თუ მეტის-მეტად საქმე არ უჭირს.

მთიული მეტად ზარმაცია და წელ-მოწყვეტილი. მას თუ არა თავისი საკუთარი საქმე, სხვის საქმის გაკეთება ძალიან ეზარება, თუნდაც საკმარისად დაასაჩუქროთ იმისი შრომა. შინაურს საქმეს, მაგალითად, შეშასა და საფქვავს მთიული ახლო არ მიეკარება, ტყეში შეშაზედ სიარული და საფქვავზედ წისქვილში „ადამიანებზედ“ არის დანაბრებული. «ადამიანებს» მთიულეთში დედაკაცებს ეძახიან. რომელსამე ოჯახში რომ შემთხვევით დედაკაცი არ იყოს, მთიული სიცივითა და შიმშილით მოკვდებოდა.

არ შეიძლება მთიული აჩქარდეს საქმეში, ანუ სიარულში. მას არა ეჩქარება-რა, წამოშხლართულია სახლის ბანზედ, ხან ერთს გვერდზე გადაბრუნდება, ხან მეორეზე. თუ რომ წამოდგომა უნდა, ბარელ კაცივით უხიზლად ხომ არ წამოხტება. ჯერ ათიოდე წუთი უნდა იფიქროს, ავდგე თუ არაო, და როდესაც ან სიცივე შეაწუხებს, ან სიმშილი, მხოლოდ მაშინ გადასწყვეტს ადგომას. ადგება, მაგრამ ვაი იმ ადგომას: ზლაზნითა და ზმორებით წამოიწევს, თითქო ორი თვე მგზავრად ყოფილა და დღეში სამოციოდე ვერსი გაუვლიაო. აი ამიტომაც მთიული სახლში არას აკეთებს. შინაური და გარეული საქმე დედაკაცებზედ არის დანაბრებული მხოლოდ ზაფხულში თუ იმუშავებს გუთანზედ, ანუ მკაში, მაგრამ მაშინაც წელ-მოწყვეტილია. ხშირად შეხვდებით მკის დროს მთიული წამოწოლილი შესცქერის მოსამკალ ყანას და უბეჯითებს «ადამიანებს». მთიული ზამთარშიაც, როგორც ზევითა ვსთქვით, უსაქმოდ არის, ასე რომ უმეტეს ნაწილს სიცოცხლისას იგი უქმად ატარებს.

მთიულეთში მხოლოდ მაისში გაზაფხულდა; დიდი ხანი არ არის, რაც აქ თოვლი გადნა. დღესაც კიდევ დიდი თოვლი სძევს აქეთ-იქით ღელეებში. მხოლოდ ამ ერთ კვირაში გამწვანდა აქაურობა, ამოვიდა ბალახი, ტყე მწვანით შეიმოსა.. აი მთიული მარტო ამ ცოტა ხანში შეუდგა ქარჩის (პატარა თოხი), აჩეჩის და სახნის-საკვეთის გამოკვერას, აი მხოლოდ ამ ცოტა ხანში შეაბეს გუთნები მთიულებმა. ორმა კომლმა ერთი გუთანი შეაბა და დაიწყეს ჩხირკედელაობა. აქაური ხვნა მართლა რომ ჩხირკედელაობა არის. გამხარდას გუთანი უჭირამს, აღდგომელა ორ უღელა ხარს ერეკება. პირველის „ადამიანი“ წინა ხარების რქებზედ შებმულ თოკს ეწევა, რომ ხარები მას მიჰყვეს, მხოლოდ აღდგომელაის „ადამიანი“ მისდევს უკან ქარჩით და აბრუნებს იმ ბელტებს, რომელიც უბარაქო აჩეჩამ ვერ გადმოაწვინა. ხვნენ, მაგრამ რასა ხვნენ? რიყეს, ან თიხნარს, რომელსაც ყოველი ძალ-ღონე გამოცლილი აქვს ხშირის ნიაღერებისაგან. ამ გვარი ნიადაგი ერთი ოთხ-ხუთს ძლივს იძლევა. აქ მარტო ახალ-თესლი მოდის, ჭვავი და დიკა. მაისში ხვნენ, ზედვე ფარცხვენ და ენკენისთვეში მკიან.

დღეს მთიულებმა ხვნა დაიწყეს, მაგრამ რა გამოვიდა, სულ სწვიმს და სწვიმს, სწვიმს მთელი დღე და ღამე. მთიული დიდს გაჭირებაშია დღეს, არ იცის, რა ქნას. წვიმა და დაგვით მოხნულს ახლა ნიაღვარი აოხრებს: მოვარდება ნიაღვარი და მოხნულსა და მოუხნავს ორის საათის განმავლობაში რიყედ აქცევს ხოლმე. მეორე დღეს მისდგებიან საწყალი „ადამიანები“ და ახლა ამაში ირთმევენ სულს. მთელი რიყე სულ ჯინით უნდა გადაყარონ. მაისის გასვლამდის, მანამ მთლად არ დადნება თოვლი მთაში, მუდამ ასეთი დღე ადგება ხოლმე აქაურს მამულებს. ზოგიერთი მამულები რიყედ არის ნაქცევი. აი ასეთ ტანჯვაშია მთიულის «ადამიანი» მაშინ, როდესაც მთიული ყველა ამას გულ-გრილად უყურებს, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

მთიულები სხვა მრეწველობას არას მისდევენ, როგორც, მაგალითად, მოხევეები, რომელნიც, მეურნეობის გარდა, ცხვარს ინახამენ, ქირაზედ დადიან, გზაში მუშაობენ, ალებ-მიცემობენ და სხ. მთიული მარტო, მეურნეობის გარდა, სამხედრო გზაზედ მუშაობს. გაუქმდა გზა და მოკვდა მთიული შიმშილით, რადგანაც თითქმის ნახევარის წლის საზრდოს — პურს, ქერსა და სიმინდს ძაუგიდგან (კავკავს ეძახიან) მოაქვთ. საქართველოს სამხედრო გზას რომ ასობით მუშა არ ედგეს, მეორე დღეს არამც თუ ეტლით, ქვეითიც ვერ გაივლის კაცი.

საძოვარი ბალახი ჯერ რიგიანად არ არის ამოსული. სათიბ-ყორულებზედ ჯერ ისევ თოვლი სძევს, საქონელს ხვნაში ჯერ ისევ თივას აჭმევენ. თივა ძალიან ძვირია წელს, ფუთი 50—60 კ. ფასობს მთიულეთში.

მთიულეთში სხვა ახალი ამბავი არა არის-რა გარდა იმისა, რომ ამ თვის 5 შაჰიმ ამოიარა მთიულეთზედ. სოფ. მლეთში, სადაც ფოსტის სადგურია, ღამე გაატარა შაჰიმ. მლეთში დაუხვდა ქართველი დრუჟინა და მემუსიკენი ყაზახთა პოლკისა. მთელი სადგური გაჩაღებული და მორთული იყო... მეორე დღეს, შაბათს, წასვლის დროსაც დაუხვდა დრუჟინა და მუსიკა და მალე დაბრუნდა უკან დუშეთში. შაჰი-კი კავკავისკენ გაემგზავრა, სადილი ინება ყაზბეგში და იქიდგან გასწია რუსეთს.

ნიკო ლ—ძე

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ერთს მოცლილს კაცს გამოუთვლია, რა დახლს დაისვამს საფრანგეთი მსოფლიო გამოფენით წელსა და ამ გამოთვლით ამტკიცებს, რომ ერთი მილიარდი ფრანკი უცხოელებისა გადავა საფრანგეთის მკვიდრთა ჯიბეში. აი როგორ უანგარიშნია მოცლილს კაცს: სულ ცოტა, ერთი მილიონი უცხოელი მიაწყდება პარიჟის მსოფლიო გამოფენის სანახავად. თითო მისული, ისე ვეღარ დააღწევს პარიჟს თავს, რომ ათასი ფრანკი მაინც არ დაჰხარჯოს? ათასჯერ მილიონი მილიარდი გამოვაო. მოცლილს მათემატიკოს გამოცანა ერგება.

— გიუ-დე მოპასანს ახალი რომანი დაუწერია. ჯერ რუსეთში მისი შინაარსიც არ იციან, მხოლოდ საფრანგეთის გაზეთების სიტყვით იმეორებენ, რომ ახალი რომანი ძალიან მოსწონს კრიტიკასაო. სწორედ ქარხანაა პარიჟი რომანებისა. ჯერ თთვე არ არის, რაც პოლ-ბურჟემ დაბეჭდა თავისი ახალი, მეხუთე რომანი „Le Disciple“ — „შეგირდი,“ რომელმაც დიდი ამბავი მოახდინა და აგერ ახლა კიდევ გიუ-დე-მოპასანის ახალმა რომანმა მიიქცია არა თუ მარტო საფრანგეთის, არამედ მთელის განათლებულის ქვეყნის ყურადღება. ზოლაა კიდევ და გაჩქარებით ამზადებს თავის ახალს რომანს რკინის გზის მოსამსახურეთა ცხოვრებიდამ.

**ინგლისი.** ვილაც ვიზანტელის სასამართლომ პირობა ჩამოართვა, რომ ზოლას რომანები აღარ დაჰბეჭდოს და აღარც გაჰყიდოს, რადგან ზნეობის გამრყვნელი წიგნებია იმისი წიგნებიო. პირობის გარდა სათავდებოდ ორასი თუმანი მოსთხოვა. მაგრამ დღეს ვიზანტელის დაურღვევია პირობა და დაუწყია კვლავ ყიდვა აღკრძალულის წიგნებისა. სასამართლოს სახელმწიფოდ შეურიცხავს სათავდებოდ წარდგენილი ორასი თუმანი და ამას გარდა სამის თთვის ვადით ციხეც გადუწყვეტია.

— ინგლისში დიდს კერძო კამპანიას აღგენენ შუაგულ აფრიკის დასასახლებლად, ისე როგორც ინდოეთის შემოსაერთებლად და დასასახლებლად იყო შემდგარი ოდესმე დიდი და მდიდარი ამხანაგობა ოსტ-ინდოეთისა.

— ინგლისიდამ საფრანგეთს მიდის დეპუტაცია ლაბუშერის მოთავეობით და უნდა თავისი მწუხარება პირად გამოუცხადოს საფრანგეთის მთავრობას, რომ სალისბერის სამინისტრომ ინგლისის ელჩს ნება არ მისცა მსოფლიო გამოფენის კურთხევაზე დასწრებულიყოო.

# წვრილი ამბები

სპარსეთში აარსებენ ახალს ბანკს, რომელსაც ეწოდება სახელად: „სპარსეთის სახელმწიფო ბანკი“ და თანხა ექვს მილიონ მანეთზედ მეტი ექნება. ამ ბანკის კონცესია დათმობილი აქვს 60 წლით ერთს ინგლისის კომპანიას, რომლის მეთაურადაც ბ-ნი რეიტერია. ბანკს უფლება აქვს 8.000,000 მან. ობლიგაცია გამოსცეს. ყოველ წლის დამლევს (სპარსეთში 20 მარტს არის) ბანკი სპარსეთის მთავრობას 6% უხდის. ამის სამაგიეროდ ბანკს უფლება ეძლევა აწარმოოს რკინისა, სპილენძისა და ქვა-ნახშირის მადნები.

— აი ერთი ანდერძი, ფრიად საყურადღებო ქალთათვის. ვენაში გარდაცვლილმა გრაფმა გარლეგმა თავისი ქონება, 700,000 მანეთამდე, უანდერძა ვენის უნივერსიტეტს, რათა ამ უნივერსიტეტმა პრემიები აძლიოს იმ სტუდენტებს, რომელნიც ქალობის სწავლას დაამთავრებენ. აი ეს პრემიები რა პირობით უნდა აძლიოს უნივერსიტეტმა: 700,000 მან. სარგებელი უნდა გროვდებოდეს 99 წლის განმავლობაში და მხოლოდ მაშინ, როცა ასი წელიწადი შესრულდება გრაფ გარლეგის გარდაცვალებიდგან, უნდა გაიცეს პირველი პრემია. თანხა ამ დრომდე, 3½% სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, 20 მილიონამდე აიწევს. თუ ავსტრიის მთავრობა

არ შეიწყნარებს ამ ანდერძს ზემოხსენებულის პირობით, მაშინ ეს ფული ნიუ-იორკსა და რიო-დე-ჟანეიროს უნივერსიტეტებს უნდა გადაეცეთ.

— ინგლისის საზოგადოებათა პალატაში დაუმტკიცებიათ კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ადამიანის გაწკეპლვა კვლავ შემოღებული იქმნება თურმე. წკეპლით სასამართლოს გარდაწყვეტილებისამებრ მხოლოდ ის ავაზაკნი უნდა დასაჯონ, რომელნიც სახლებს დაამტვრევენ და დედაკაცებსა და ბავშვებს გასძარცვავენ.

— ახალ რომანს ემილ ზოლასას ერქმევა სახელად: „ადამიანის ცხოვრება“.

— იაპონიის მთავრობას სამსახურში 203 უცხო-ქვეყნელი კაცი ჰყავს, რომელთაც 1.100,000 მან. ჯამაგირი ეძლევათ წელიწადში.

— საფრანგეთის 1789 წლის რევოლიუციის ძეგლისათვის 1 მილიონი მანეთია გადადებული. ვინც საუკეთესო ძეგლს ააგებს, იმას ჯილდოდ 75,000 მან. მიეცემა.

— საფრანგეთის ქალაქის საბჭოს გადადებული აქვს 50,000 მან., რომელიც მსოფლიო გამოფენის დღეს პარიჟის ღარიბ მცხოვრებთ უნდა დაურიგდეთ.

— ამას წინად ჩინეთის ბოლდიხანის სასახლეს ცეცხლი გაუჩნდა. მაშინვე მოწოდებულ იქმნენ სასახლის ვარსკვლავთ-მრიცხველნი და მოგვ-მისანნი და ებრძანათ, რომ ეპოვნათ მიზეზი ღვთის წყრომისა. ვარსკვლავთ-მრიცხველთ კარგა ხნის ფიქრს შემდეგ გამოაცხადეს თურმე, რომ ცეცხლის გველეშაპი გამომეტყველია ჩინეთის სახელმწიფოსი და ახლად ერთს თავისს ფეხთაგანში შრილობა მიიღო ამ გველეშაპმა იმ მიზეზით, რომ ჩინეთში რკინის გზა იქმნა გაყვანილი, და თავისი რისხვა სასახლეს გამოუცხადათ. ვარსკვლავთ-მრიცხველთა ასეთის აზრისათვის საიმპერატორო დეკრეტით გამოცხადებულ იქმნა თურმე, რომ ამიერიდგან ნულარავის მისცემთ რკინის გზათა გაყვანის კონცესიასაო.

— სქელ კაცთა წრეს ნიუ-იორკში ახირებული ჯიბრი ჰქონია. შეუკრავთ პირობა, რომ ერთმანეთს სირბილში გაჯიბრონოდნენ და სარბენელ მანძილად ხუთ ვერსამდე ადგილი შემოუღობავთ, ამ ჯიბრში მონაწილეობას მხოლოდ ისეთები იღებენ, რომელნიც 209 გირვანქაზედ ნაკლებს არ იწონენ. ქვს მოჯიბრეთაგანში ერთი 450 გირვანქას იწონს თურმე

# დეპეშა

31 მაისი

პეტერბურგი. დღეს პარიჟში წავიდა იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრი, გრაფი იოგამატო, რომელიც პეტერბურგს მოვიდა რუსეთის შინაგან წეს-წყობილობის გასაცნობად. გრაფი ბერლინში გაივლის. იოგამატომ დაათვალიერა სხვა-და-სხვა დაწესებულობა, ქალაქის საბჭო, მომრიგებელ-სასამართლოთა კრებული, ქალაქის უფროსის კანცელიარია, პოლიცია და ცეცხლის მქრობელი კომანდა.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ ჩვენს ჯარს დაურიგებენ მცირე ყალიბის „ვინტოკებს“. ამ თოფების დამზადებას მალე შეუდგებიან. ამ ახალის თოფის სროლა შეიძლება ნიშანში 1,200 ფეხის ნაბიჯზე. ამ თოფებისათვის ახალი წამალი უნდა დაამზადონ.

პარიჟი. დერულედი, ლეზონი და ლაგერი დღეს წარსდგებიან პოლიციის სასამართლოს წინაშე. ამათ ბრალდებათ მოსამსახურე კაცთა გადაბირება,

იმ დეპუტატებს, რომლებმაც პროტესტი გამოაცხადეს თავიანთ ამხანაგების დატუსაღების გამო ანგულემში, შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა: შეუძლებელია თქვენს საქციელს ყურადღება არ ვათხოვოთ ჩვენ უნდა ვსდევნოთ ყველა, ვინც მართებლობის წინაამდეგ იმოქმედებსო.

ბელგრადი. თუმცა საზოგადოების ყურადღება შეპყრობილია სხვა-და-სხვა საქმით, ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელომ ჩერნოგორიის მთავრის მიმართ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მწერლობა ამბობს რომ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა მოასწავებს ახალს ეპოქას სლავიანთა ისტორიაში.

### პეტერბურგის ბირჟა, 30 მაისი

| | მიეცემოდ. | გამოიდება. | მიუღებდ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 70 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 244½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 84½ | — „ | — „ |

### საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

1 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწამისა იუსტინე ფილოსოფოსისა. კათოლ. წმ. იუსტინასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-14 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 14 დღისაა.

2 დღე პარასკევი. წმ. მამისა ნიკიფორესი, კონსტანტინეპოლელ პატრიარხისა. კათოლ. წმ. ბლონდინესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-15 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადნის 7—36. მთვარე 15 დღისაა.

3 დღე შაბათი. წმ. მოწ. ლუკიანესი და სხვათა. კათოლ. წმ. კლოტილდასი. სომეხ. წმ. ილიასი. ხსნილდება. მაჰმად. მე-16 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—36. მთვარე 16 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 . 4 „
„ „ 3 . 3½ „
ჭვავის მამის პურის ღავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 „
„ 2 „ 8 „
სუკი . . . . 16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 12 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ფილტვების ჭლექის (ზღმურდღურას) გადამდებლობა

და

საშუალებანი ამ სენის გავრცელების წინაამდეგ

ფასი 20 კაპ.

წერა-კითხვის სამართველოში ისყიდება

თორნიკე ერისთავი,

ისტორიული პოემა

აკაკისა.

სამკურნალო წიგნი

საჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—17)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გიორგი ბრწყინვალე

მეფე საქართველოსი,

ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა, „წერა-კითხვის საზ.“ გამოცემა, ფასი 20 კაპ.

ვაზის მოშენება, სურათებით, ფასი 1 მანეთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| ხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |

ალბერტის მაღაზიაში

სობრანიის გვერდით

მიღებულია დიდ-ძალი

საბერველი ვენახებისათვის.

ეს საბერვლები სულ ახალს სისტემაზეა მოწყობილი და ისყიდება პულვერიზატორითურთ და ან უიმისოდ. ფასი ძალიან მცირეა, ყველასათვის ხელ-მისაწვდენელი. (8—8)

ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვღებავ ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—15) ა. თუთაევი

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყოვლადჲრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—2)


Доз. ценз. Тифлисъ 31-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул. и). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე